

უ რ თ ი ე რ თ გ ა გ ე ბ ი ს მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას,

სსიპ - სსიპ სამღვათ ტრანსპორტის სააგენტოს,

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს,

და

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო სამღვათ აკადემიას შორის

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო სამღვათ აკადემიის სტუდენტების სასწავლო  
პრაქტიკით უზრუნველყოფის შესახებ

## პრეამბულა

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები:

*ითვალისწინებენ რა*, რეგიონში საზღვაო განათლებისა და მეზღვაურთა პროფესიის პოპულარიზაციის/განვითარების აუცილებლობას;

*იზიარებენ რა*, მეზღვაურთა პროფესიული უნარების განვითარების აუცილებლობას;

*იზიარებენ რა*, საზღვაო დაწესებულებების სტუდენტების საზღვაო პრაქტიკით უზრუნველყოფის მნიშვნელობას;

*იზიარებენ რა*, საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფის მნიშვნელობას რეგიონის განვითარებისა და მეზღვაურის კვალიფიკაციის ასამაღლებლად,

თანხმდებიან წინამდებარე ერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე (შემდგომში „მემორანდუმი“)

### 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მეზღვაურთა განათლების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება საზღვაო აკადემიის სტუდენტებისთვის გეგმვზე საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფის გზით.

### 2. მხარეთა თანამშრომლობის ფარგლები მოიცავს:

2.1 აჭარის ა.რ. მთავრობა უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიისთვის, საზღვაო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, შესაბამისი მატერიალური სახრების გამოყოფას;

2.2 სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ უზრუნველყოფს რეგიონში საზღვაო სფეროს პოპულარიზაციისა და სტუდენტების მიერ საზღვაო პრაქტიკის გასაუფლებლად საჭირო ორგანიზაციულ-სამმართველო მხარდაჭერას, სტუდენტთა საზღვაო პრაქტიკის გავლისთვის, შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყოფას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

2.3 აჭარის ა.რ. განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის სტუდენტების სასწავლო პროცესის მხარდაჭერას;

2.4 ზათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიციური სტუდენტების მომზადებას, შემდგომი პრაქტიკის გასაუფლებლად.

#### 4. მემორანდუმის მხარეები

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები არიან:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,
- სსიპ - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო,
- აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო,
- სსიპ - ზათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

#### 5. მხარეთა უფლება/მოვალეობანი

წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის მხარეები თანხმდებიან: იხელმძღვანელებენ რა მემორანდუმის პრეამბულაში გათვალისწინებული პრინციპებით, გამოხატავენ დაინტერესებას, კოორდინირებული ძალისხმევა მიმართონ რათა შეიქმნას თანამშრომლობისა და კონსულტაციების ურთიერთმისაღები საფუძვლები.

#### 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ.

6.2 წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

#### 7. დასკვნითი დებულებანი

7.1. მემორანდუმის მონაწილე მხარეებს უფლება არა აქვთ ცალმხრივად შეცვალონ მემორანდუმის პირობები.

7.2. მემორანდუმის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მემორანდუმის დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად.

7.3. მემორანდუმი შედგენილია ქ. ბათუმში, 2019 წლის 10 დეკემბერს, ქართულ ენაზე, 4 (ოთხ) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი თურიდიული ძალა.


აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე  
თორნიკე რიუვაძე



სსიპ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის  
სააგენტოს დირექტორი  
თამარ იოსელიანი



აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრი  
მაია ხაჭიშვილი



სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემიის რექტორი  
ირაკლი შარაზიძე



7.3. მემორანდუმი შედგენილია ქ. ბათუმში, 2019 წლის 10 დეკემბერს, ქართულ ენაზე, 4 (ოთხ) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი თვითმწიფი ძალა.

აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე  
თორნიკე რიუვაძე

სსიპ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის  
სააგენტოს დირექტორი  
თამარ იოსელიანი

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრი  
მაია ხაჭიშვილი

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემიის რექტორი  
ირაკლი შარაზიძე